



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჯანდაცვის
ჯიოვნი ბიბიოთეკა

სტეფანე მტბევიარი

წამებად წმიდისა
მოწამისა
გობრონისი

წამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი
სტეფანე მტბევარი

წამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით. მე, სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან, დავსწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა-ერისთავისაჲთა

I

ჩვეულებად აქუს განგებასა ღმრთისა, სწავლად გონებასა ზედა, სწავლად დაბადებულთა მისთასა, ვითარცა იყო იოსებ, და ყოველნი მართალნი თითოეულად გამოიცადნეს მსგავსად ძალისა ჩუენისა, ვითარცა იტყვს იობ: "ნეტარ არს კაცი, რომელსა ამხილა უფალმან, და სწავლასა ყოვლისა მპყრობელისასა ნუ განიშორებ, რამეთუ მან აღმის და კუალად აგის". და სოლომონ იტყვს: "შჯლო, უკეთუ მოხუალ მონებად უფლისა, თავი შენი განუმზადე განსაცდელთა". და კუალად: "შჯლი, რომელი უყუარნ უფალსა, სწავლის დასტანჯის". და მოციქული იტყვს: "სრულთა[თვს] არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელნი სწავლასა ღმრთისასა მადლობით შეწყნარებად ღირს იქმნეს და ცოდუისა რისხვთა გულის წყრომისა მისისაჲთა ჩუენებად ძალიმისი". რომელ დაუთმენიეს მართლითა სულგრძელობითა მიგებად უსჯულოთა უკეთურებისაებრ მათისა, ვითარცა იტყვს დავით: "ამაღლდი მსაჯულო სიმართლისაო და მიაგე მისაგებელი ამპარტავანთა". და პავლე იტყვს: "ამისთვის მოიწიოს რისხუად ღმრთისად ნაშობთა ზედა ურჩებისათა, ვითარცა დასაბამსა დაბადებისასა ნოეს ზე წარწყმედასა ამპარტავანთა კაცთასა, რომელნი ხატად ღმრთისა დაბადებულ იყვნეს, აგებულებად თვისი ვერ ესწავა უმადლოთა მათ ნათესავთა და მსგავსება მთავრობისა თვისისად ვერ გულის-ხმა ეყო, რომელთა ხატი შემოქმედისა ღმრთისა შეურაცხ ყვეს და დამდაბლდეს და ემსგავსნეს ძლეულსა მას ბუნებასა დედათასა, რომლისა ურჩებითა სიკუდილი შემოხდა", ვითარცა პავლე იტყვს. ადამ არა სცთა, ხოლო დედაკაცი იგი სცთა და ცოდუა შვა. ნაშობთა მათ შერეულთა გადარეულითა მით უმუერითა ცოდვთა განარისხეს ღმერთი

და შეანანეს. კაცი არა ეუფლა დათმენად მიუწდომელი მოწყალებად, რომლისათვის განახუნა საქანელნი წყალთანი და წარწყმიდნა ყოველნი წყლით-რღუნითა. ხოლო ნეტარისა ნოეს მიერ დაუშთა თესლი მკვდრობისად სოფელსა, ესრეთვე ნერგთა მათ წყევისათა თესლთა სიმწარისათა მოკსენებად საძაგელთა სოდომელთა ლოთის ზე მართლისა უწესოთა შერევითა, და არა დაუტევეს ადგილი წყალობისად, რომელთა ზედა აწჳმა ღმერთმან ცეცხლი და წუნწუბად და გარესკნელითა მით ძვრითა წარწყმედისადთა აღიხოცნეს იგინი. და კუალად დედაკაცმან მან უსახურმან იეზაბელ გარდამატა უსჯულოებად. რომლითა ელიას ეპატიაჟა შურითა საღმრთოდთა ცათა შეკრუად და სიყმილი შემოართვა იერუსალიმსა ზედა, ვითარცა ევად სიკუდილი სოფლად შემოიღო, რომლისათვის ელიად იტყვს:” რად ძეს ჩემი და სახლისა მის აქაბისი“.აქუნდა მას ურჩებისა მისთვის იეზაბელისა ნაყოფი იგი უწჳმროებისად, ამისთვის სიკუდილსა ბოროტსა მიეცა იგი და ტერფთაგან ცხენთასა განიჭრნეს ხორცნი მისნი და მის ზედა აღესრულა წერილი-იგი, ვითარმედ "უგუნური იგი რისხუამან მოკლის". ხოლო ვინადთგან წყლით-რღუნად აღიბეჭდა და ცეცხლით მოწუად ზეგარდამო დაეცა, და მიერითგან მახვლი განეწესა ღმრთისა მიერ შურის საგებელად უკეთურებასა კაცთასა, ვითარცა ესაია იტყვს: "უკუეთუ ისმინოთ ჩემიო, კეთილსა ქუეყანისასა სჭამდეთ, უკუეთუ არა ისმინოთ, მახვლმან შეგჭამნეს თქუნენ“.და რომელნი ჟამად-ჟამად შეემთხვვნეს განსაცდელნი იერუსალიმსა ცოდვასა მიდრეკითა, ესე მცირედ მოიკსენეთ, ვითარცა თქუა დავით: მო[ვ]იკსენენ მე დღენი პირველნი და ვიტყოდი ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა”, რადთა მოხსენებითა პირველთა მათ საქმეთადთა მოსრული და მომავალი სამართალი ღმრთისად მეცნიერთათვის კრძალულ იყოს და ორივე სახე კეთილისად და ბოროტისად ნათესავთა მომავალთა მიეთხრას, რადთა სხუათა შემთხუევათა გამოცდილ იპოვნენ.

ვითარცა თქუა მოსე: "დავსდებ თქუნენ ზედა კურთხევასა კეთილისათვის, რამეთუ ღმრთივ-მქადაგებელთა მიერ სარწმუნოთა მეტყუელთა სულისა

წმიდისა მიერ სწავლულთა მოსწავებულ არს ღმერთი მართლ-მსაჯულად ჭურთა მათ ზედა წყალობისათა და სიტკბოებისათა, დაცემულთა ზედა სასტიკებით“; რადთა ოდეს იხილონ ჭემმარიტთა მათ თაყუანის-მცემელთა ღმრთისათა ნაყოფი იგი სიმართლისაჲ წყალობასა ღმრთისა მოსავ იყვნენ და მოთმინებით მოელოდიან სასყიდლისა კუალადგებასა და კუალად, ოდეს ესმას ცრუთა სიმართლისა სასჯელი, ღმრთისა პატივსა შეიშინოს და დაუტეოს უკეთურებაჲ და სინანულად მოისწრაფოს, ვითარცა ნინეველთა, და განერნენ დაქცევისაგან სულისა და ჯორცთასა.

ესრეთვე ცოდა ბოროტი დიდმან სახლმან სომხითისამან, ვითარცა თქუა იერემია წინაღწარმეტყუელმან გოდებათა შინა მისთა სიტყვთა გამობისადთა: "შეაწუხეს სული წმიდაჲ და საქმითა ბილწებისადთა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თვისი, რომლისათვის მსგავსად უსჯულობისა მათისა მოიწია რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომაჲ". და მისცნა იგინი მახვლსა ბოროტსა და ტყუეობასა საწყალსა და სალმობასა სიყმილისასა განმამრუდებელსა და სრვასა სიკუდილისასა უწყალოსა, რომელთა მფლველ არავინ იყო და დაეცნეს, ვითარცა ხენი ქუეყანასა, ვითარცა იტყვს ესაია წინაღწარმეტყუელი: "არა თუმცა უფალმან ყოვლისა უმჯობეს-ყო მათდა, უკუეთუმცა გზაჲ იგი ჭემმარიტებისაჲ ეცნავე არა ვიდრე ცნობასა და კუალად უკუნ ქცევასა". რამეთუ მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლმადიდებლობისა იგი სარწმუნოებაჲ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ განაგდეს და მოძლუართა მიერ წმიდათა კრებათა ღმრთივ სულიერთა განწესებული კანონი საეკლესიოდ შეურაცხ-ყვეს. ამისთვის ძირი იგი სიმწარისაჲ დაენერგა მათ შორის და ღუარძლი იგი სიბოროტისაჲ აღმოსცენდა და ცოდვაჲ იგი წვალებისაჲ აღორძნდა და ნაყოფი იგი წარწყმედისაჲ გარდაემატა მათ ზედა, რამეთუ მიწაჲ იგი სომხითისაჲ ამპარტავან [არს] და მკვდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაჰარ, ლალ და ცოდვის-მოყუარე, ამპარტავან, უწყალო, უყუარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტჳსი, რომელთათვის

ქრისტე ცუდად მოკუდა. და ესე არს საზღუარი მისი და სახელები ჳევთა მისთად: ვანდი, აშორნა, ბაგრევანდი, აჰაპუნისი, კალკოიტნი, ჭაკატი, გოგოვიტი, ორი ჳევი შარული, ასურაგანი, ათორმეტი ჳევი ვადორი, ოთხი ჳევი და ფინა-დაშტი, სამი ხევი გელაქუნია, ოთხი ჳევი სივნიეთი, ათი ხევი ტაშირი და კაქფაქარი. ესე ოთხმეოცდამჳდი ჳევი მოოხრდა პირისაგან უფლისა, ძჳრისაგან ცოდვათა მათთასა, ამისთჳს, რამეთუ არა იპოვა ამათ ჳევთა შინა საყდარი მართლ-მადიდებელთა ეპისკოპოსთად, არცა მონასტერი მართლ-მადიდებელთად, მორწმუნეთა მონაზონთად, ვითარცა აბრაჰამ ჰჳითხავს ღმერთსა: „უკუეთუ იყვნენ ხუთნი მართალნი, წარსწყმიდოა ქალაქი იგი?“ და თქუა უფალმან: "არა". და იტყჳს: "ვინ წმიდა იყო და წარწყმდა, ანუ სადა ჭემმარიტნი ძირითურთ აღიფხურნეს?". თუ სადმე იტყჳს მსგავსად სიტყჳსა მის, რომელი ჰრქუა ღმერთმან ელის: „არღარა ვხოცო კაცი შენი საკურთხეველისაგან ჩემისა. რადთა ხედვიდეს და ეხუებოდის და რადთა ესენიცა ხედვიდენ და ეხუებოდის, ამათ ქუეყანათა ზედა განეწყო უფალი რისხჳთა გულისწყრომისა მისისადთა". და მიშუებითა ღმრთისადთა აღიძრა მეფე სარკინოზი, სახელით აბულ-კასიმ, ძე აბულ-საჯისი ამირისად და უფალი სჳარსეთისად, რომელსა ჰმონებდა სამეოცი ქალაქი დიდ-დიდი და შჳდნი მეფენი ჰმორჩილებდეს ძლიერნი. ესე აღიჭურა ერთთა მრავლითა, კაეტებითა რჩეულითა, რომელთა ჰყვანდა ათასეული და ბევრეული. შევიდა ქალაქსა დჳნისასა. და ოხრად გულის-წყრომისა მისისად მოასწავებდა ოხრებასა სომხითისასა, ვითარცა ნინეველთა დაქცეჳასა, რადთამცა შეინანეს ამათცა. ხოლო გულნი მათნი გაფიცხებულ იყვნეს, ვითარცა რვალნი, და დაყინებულ, ვითარცა სამყაროდ, რამეთუ ცოდვად წვალებისა მათისად დაწერილ იყო ფიცარსა მას რკინისასა ფრჩხილითა ანდამატისადთა. ვითარცა იერემია იტყჳს: "ამისთჳს ვერ ეძლო მოქცეჳად, რამეთუ ემსგავსა სახლი იგი სომხითისად კაცსა მას უგუნურსა, რომელმან დადჳა [სახლი] საფუძუელსა ზედა საცთურებისასა და წვალებისასა. და ვითარ აღდგეს კუეთებანი, დაეცა. და იყო დაცემად მისი დიდ ფრიად". ვითარცა იოზ იტყჳს: "მე ვიხილენ უგუნურნი იგი, რომელთა ძირნი არა

დაეზნეს, არამედ მეყსეულად შეიჭამა როჭიკი მათი და განემორნეს ძენი მათნი ცხოვრებისაგან“, რამეთუ მძლავრებად მათი და ხელმწიფებისა მათისა სულგრძელებად გამოსწოვდა ძალსა მათსა.რამეთუ ესე არს ჩვეულებად მათი: პირველად ხარკნი იგი თანანადებნი ძებნეს, ძლუნნი და ნიჭნი კაეტთა მათთათჳს, რამეთუ მოხარკე მისსა იყვნეს. მერმე წინა-ჟამისა ბეგარანი სთხოვნეს. და უცალოებასა თჳსსა ჰამბვად იტყვან, დაქცევასა თჳსსა ასწრაფებენ. და ესრეთ მანქანებით დააცალიერნა საფასეთა მათთაგან, რადთა ადვილად მძლე ექმნეს. რომელიცა იყო ესრეთ:და ვითარ მოსძლევდა სარკინოზი იგი და არა იპოვა ღონწე წინააღმდგომისა სომეხთა მეფისა, არცა განრინებისა, რამეთუ ღმერთსა განეხეთქა მეფობად იგი მისი. მაშინ მიივლტოდა იგი მათთა ზედა აფხაზეთისათა, რომელი- [იგი] უკუანადსკნელსა სიკუდილსა ვერ განერა, ხოლო კელმწიფე იგი შეუდგა მას ძიებად სასჯელსა სიკუდილისასა მრისხანებითა დიდითა.

II

და მოვიდეს იგინი ციხესა მას ყუელისასა, რომელი იყო გურგენ ერისთავთა ერისთვისად, რომელსა შინა იყვნეს აზნაურნი წარჩინებულნი და სანატრელი მოწამე ქრისტესი გობრონ მათ თანა. მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყუელისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელნი ხუთისა სოფლისა საზღვართა და-ოდენ-ეტინეს იწროებითა.

და საბელნი იგი კარვებისა მათისა[ნი] განეთხზნა ურთიერთას, რამეთუ ესე იყო ჩუეულებად დადგრომისა მათისად ნათესავთა მათ საძაგელთა უღმრთოთად, ფიცხლად მოისართად, რომელნი შჭამდეს ძაღლთა, თაგუსა, კატასა და ყოველსა არა-წმიდასა. და ესრეთ განემზადნეს ბრძოლად ფილეკავნებითა მრავლითა, და სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართად შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა, რომელსა აქუნდა ასეული ტვრთი აქლემისად ისარი ოდენ და ეგრეთვე ჰოროლი.

და ბრძოლასა მას ფიცხელსა მკნე იქმნეს ციხიანნი იგი და დაჯოცდეს მბრძოლთა მათ და დაჰყრიდეს ჯორცთა მათთა, ვითარცა სკორესა ქუეყანასა. ხოლო მათ ყოველთა უწინარეს იპოვა სიმკნითა ნეტარი გობრონ და ძალი ბრძოლისა მისისაჲ ყოველსა მას სიმრავლესა ზედა საცნაურ იყო. და სახელი იცვალა, ვითარცა ყოველთა წმიდათა, ვითარცა პეტრეს კლდე და სავლეს პავლე, ამას ეწოდა პირველად მიქელ და მერმე გობრონ, რომელი ესმინა მეფესა მას და დაესწავა სიტყუად გობრონ და სასმენელთა ეოცებოდა, და გულსა გამოიწერა, რამეთუ ტრფიალებითა ძლიერად ბრძოლისა და აჯოვნებისა მისისათჳს აღიშურვა სარწმუნოებისა მისისა ქრისტეანობაჲ. და ოდესმე გამოეტევნიან სიმრავლენი იგი მზღუარსა არტაონისასა და რომელნი პოვნიან თივისა მკრებელნი და მსხუერტელნი ყანობირისა მათისანი, რომელნი შიმშილისაგან შიმსა სიკუდილისასა შეურაცხჰყოფდეს, შეკრიბნიან მახლობელად ციხესა მას, ვითარცა ცხოვარნი საჩუენებელად მათა, და დაქრნიან ჯორცნი მათნი. და სისხლი იგი უბრალოჲ. ვითარცა მსხუერპლი სულნელი, შეიწირვოდეს ღმრთისა, ვითარცა სისხლი იგი აბელისი მართლისაჲ, რომელთა რიცხჳ იგი მათი ღმერთმან უწყის მხოლომან. და ურიცხუნი იგი ერნი მართლ-მადიდებელთანი აჰარას და შავშეთს შეწყუდეულ იყვნეს, რომელნი, ვითარცა მკალნი, მოსჰამდეს ფურცელსა ხეთასა და მწუანვილოვანსა ქუეყანისასა. მას ჟამსა იქმნა შავშეთი ბაკ მკეც-შეუვალ, რამეთუ ეგოდენნი იგი ნათესავნი მახლობელად დგეს, ვითარ სადილობისა გზაჲ ოდენ, რომელთა ქუეყანაჲ ვერ

იტევდა. ღმერთმან არა აუფლა შთასლვად მას შინა, მადლითა დიდებულთა უდაბნოთაჲთა და ლოცვითა წმიდათაჲთა, რომელთა სათნოებანი მათნი კეთილნი, ვითარცა სუეტნი ცათანი, განმტკიცებულ არიან, და ვითარცა ზღუდენი რაფათისანი, წინა-აღუდგეს.

III

ხოლო ჯელმწიფე იგი ჰბრძოდა ციხესა მას ოცდა რვა დღე, და ნაბაკნი

შეუცდეს, რომელთა განჯურიტეს კლდე და განარღვეს ზღუდე, რომელთა გამოუცდის ნეტარი გობრონ და განდევნის. და ძლევისა მისგან უმეტეს განაკვრვანა ყოველნი და, ვითარ არა იყო შეწევნად, არცა წინააღდგომად, საფიცი ითხოვეს, რამეთუ ღმერთმან განიჭნა იგინი. ესრეთ გამოიყვანნა იგინი და განუყუნა კაეტთა თვსთა რიცხვით ვითარ ორასნი ოდენ, ხოლო ნეტარისა გობრონისი ამცნო უმეტეს ყოველთასა კრძალვით პყრობად და ესრეთ წარემართა. და მგზავრ რომელთამე აშინებნ და აქადებნ სიკუდილსა, და რომელთა მიავლინებნ მისა და აღუთქუამნ კეთილთა. და ესრეთ აიძულებნ წინადაცუეთად და დატევებად ქრისტესა. ხოლო ნეტარსა გობრონს შეემსჭუალნეს ჯორცნი თვსნი შიშსა ღმრთისასა და განუმზადა თავი თვსი ქრისტესთვს სატანჯუელთა და სიკუდილსა დათმენად, ვითარცა ქრისტემან სიკუდილი დაითმინა ყოველთათვს, და მოციქულისა სიტყუასა ეტყვნ მათ: "ცხოვრებად ჩემდა ქრისტე არს და სიკუდილი შესაძინელი". და მოიწინეს თალინს. და რავდენნი უბრალონი სისხლნი დაითხინნეს მათგან, აღრაცხად ვინ შეუძლოს! ხოლო მეფე იგი სუმბატ უკუნ ვიდოდა კუალად თვსსავე ქუეყანასა. შემდგომად მარტვლობისა წმიდისა გობრონისა, ვითარ სხუად ღონე ვერა იპოვა, შევიდა იგი ციხესა კაპოეტისასა, რომელი-იგი უბრძნწს ითქმოდა ყოვედთა კაცთა მის ჟამისათა. და ვითარცა შეწევნად ღმრთისად განემორა მისგან, ღონე ყოველი დაელია, და

ვითარცა გამოუცდელი შეეწყუდია და მის თანა ერი მრავალი. ეგრევე სახედ მოადგა მასცა ციხესა და ბრძოლისა მრავლისა შემდგომად გამოიღო და ყოველნი მთავარნი, დედანი სომხითისანი და აზნაურნი ტყუე ყვნა. და მეფე იგი მრავლისა ტანჯვისა შემდგომად მოკლა და თავ-მოკუეთილი ჩამოჰკიდა ძელსა, საშუალ ქალაქსა დვინისასა. თქუას, თუ ვინმე უმეცართაგანმან განკითხვათათვს საღმრთოთა, რომელთა არა იციან სწავლად წიგნისად, არცა ძალი ღმრთისად, თუ ვითარ ამათ ნათესავთა უქრისტოთა, უსჯულოთა ესოდენი მძლავრობად მძლავრობისად და ფართოებად შუეებისად დაუპყრიეს, თურე რადმე ფლობად სასოებისად, ანუ სულ გრძელეებისა ღმრთისად თავს უდებიეს

დათმენად. ესე ზრახვად ნუ იყოფინ, არამედ ვითარცა პავლე იტყვს: "რად სწორებად არს ნათლისა და ბნელისად, ანუ რად სწორებად არს ბელიარისად ქრისტეს თანა, ანუ რად ნაწილი უც ურწმუნოსა მორწმუნისა თანა". და უფალი იტყვს: "უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჰელეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისად, და უკუეთუ არა შჳამოთ ჳორცი ძისა კაცისად, და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებად თავთა თქუენტად". და კუალად, "რომელი ურჩ-იყოს ძისა, მამადცა არა ჳრწამს, არა იხილოს მან ცხოვრებად საუკუნოდ, არამედ რისხუად ღმრთისად დადგრომილ არს მის ზედა". აწ ვინაა აქუნდეს სასოებად სულთა ცხოვრებისად წარწყმედულთა მათ, რომელთათვს "სიტყუად ჳუარისად სიცოფე არს, რომელთა ღმერთ მუცელი არს, დიდებად მათი სირცხვილსა შინა მათსა". და ესაია იტყვს: "ვინ ცნა განგებად უფლისად, ანუ ვინ თანა-მზრახველ ეყო მას, რომელი საიდუმლოდ ცხოვრებისად სიბრძნითა დამბადებელისადთა განმზადებულ არს სამწყსოთა მათთვს ქრისტესთა და ეკლესიათა ღმრთისათა? ვითარცა სახედ ცხოვარნი თუ ვისმე ედგნენ მრავლად, არა მოიგნენა მათთვს ძალღნიცა მცველად, რადთა არაოდესმე აღსაჳრელ იყვნენ მგელთაგან? ეგრწთვე ესენი, ვითარცა ძალღნი ძნელნი, მოცულ არიან მცველად ცხოვართა მათთვს ქრისტესთა, და იერუსალწმ, ქალაქი იგი სიწმიდისად, მეუფისა დიდისად, რომლისა თქუა მოსე: "თუალნი უფლისანი მას ზედა ჳგიან მარადის დასაბამითგან და უკუნისამდე", ესე დაშწნებულ არს შორის უდაბნოთა ვრცელთა, რომელთა შორის დამკვდრებულ არიან კაცნი მჳეცისა ბუნებ[ი]სანი, მტაცებელნი, რომელთა სახლი არს და ცხოვრებად აქლემისა ზურგი, ნათესავნი ურიცხუნი, რომელთათვს ვითარცა ძალღნი მბრძოლნი არიან მჳეცთა მათ ველურთა[ნი] ვითარ ეკლესიანი ღმრთისანი მშჳდობით ეგნენ, რომელთა ზედა მრავალნი ძჳრნი [მოიწევიან] და სამწყსონი იგი ქრისტესნი მყუდროებით ისწავებოდენ ღმრთის-მსახურებასა და არა ბრძოლასა, ვითარცა წინადაწარმეტყუელი იტყვს: "დასჳრიდენ მახვლებსა მათსა მანგლად და ლახურებსა მათსა საწნისად და არღარა ისწავებდენ მერმე ბრძოლასა", ვითარცა აწ

ყოვლადვე არა ეკადრების ქრისტეანეთა აუგად მახზლისა მათ შორის და არცა მკედრ აღჯდომად ცხენსა". და ამისა შემდგომად ესაია იტყვის: "მაშინ მოვდენ მგელნი კრავთა თანა და ვეფხი განისუენებდეს თიკანთა თანა, ჳბოდ და კუროდ და ლომი ერთად მოვდენ". მგლად და ვეფხად სიბოროტისა მათისა მძვნვარებასა იტყვის, მკეცის სახედ მოსწრაფედ დათხევად სისხლისა. და ლომად მძლავრობასა მას მათსა, მთავრობასა, იტყვის დანიელის ჩუენებათა ხილვასა მას მკეცთასა; დათუად მოასწავებს სპარსთა მეფობასა ბაბილონს და ლომად სარკინოზთა მეფობასა ბაღდადს ბაბილოვნისასა; და თიკნად მწვალებელთა იტყვის, რომელნი მდუმრიად აჩუენებენ და შინაგან მგელ [არიან], ვითარცა თქუა უფალმან. "მაშინ

დაადგინნეს თიკანნი მარცხენით მისსა, რომელთა ჳრქუას: წარვედით, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განზადებულ არს ეშმაკისათვს და მსახურთა მისთათვს"; და კრავად - ჳემმარიტნი სამწყსონი ქრისტჳსნი, და ჳბოდ - უმანკოებად იგი, და კუროდ წმიდათავე პირუტყუთაგანი არს, და სარქენელი იგი - ძლევად ჯუარისად მტერთა მიმართ, და ორნი იგი რქანი - სარწმუნოებად, განსრულებული საქმეთაგან კეთილთა, მსგავსად ორთა მათ დათა სახარებისათა. და ნოეცა მოასწავა სარწმუნოებად ეკლესიისად კიდობანსა მას შინა შეყვანებად შვდ-შვდი წმიდათაგანი და ორ-ორი არა-წმიდად. ხოლო აწ მადლითა ღმრთისადთა ასეულად განფენილ არს სიმრავლჳ ქრისტჳს-მორწმუნეთად მათ და არა უნასებენ. და ლომთა მათ და მგელთა არა აქუს ფლობად განხეთქად კრავთა მათ სამწყსოთა ქრისტჳსთა, რომელნი ერთად მოვენ მშვდობით. და რაჳამს მოიწია ჳამი იგი, გამოვიდა ბრძანებად ჳელმწიფისა მისგან წოდებად ჩინებულთა მათ ტაბლასა მას წამებისასა და წარდგომად დალიჳსა მას საშინელსა განჩინებასა სიკუდილისასა, ვითარცა დღესა მას განკითხვისა უფლისასა. საშინელ და შესადრწუნებელ არს დღჳ იგი საშჯელისად, მეორედ მოსლვად, უფლისად, ოდეს ცანი დაიქცენ და წესნი იცუალნენ, მნათობნი დაშრტენ ყოველნი და ქუეყანად შეიმუსროს, ოხრად იგი საყვრისად ჳარ-სცემდეს ყოველთა

დაბადებულთა და ძრწოლით ხედვიდენ მეუფესა ქრისტესა, მომავალსა ჯუარითა. დაღათუ ესე ჭემმარიტ არს, არამედ სარწმუნოებითავე მოსალოდებელ არს, ვითარცა პავლე იტყვს. არს სარწმუნოებად მრავალ-ძალ საქმეთა მამხილებელ არა-ხილულთა, და კაცთა ბუნებასა ხილულ უფროდს სარწმუნოდ შერაცხილ თხრობილსა, და ხილულთა შორის საშინელ არს, ელვატეხილ, სასტიკ და ამასცა დრო ეცის:

რომელი განიჭებულ არნ, მსწრაფლ განიტაცის. ხოლო ჯორცთა შინა მყოფისა კაცისათვს ამისა უსაშინელწს და უფიცხწს არარად საგონებელ არს. თუ კაცი შიშუელ სიკუდილად განჩინებული, ჯელ-პერობით მოჰყვანდეს წინაშე ერთა ურიცხუთა უპირულთა, აღჭურვილთა ჯრმლითა ჯდილითა და ჰოროლითა, მომართებულთა ისრითა და პერობილითა, დანითა მომზადებულთა, კაცსა ღონწ ჰქონდის განრინებისად და ქრისტწს სიყუარულისათვს დაითმინოს, ვითარცა ნეტარმან გობრონ დაითმინა.

IV

რამეთუ ესრე იყო ჩუეულებად სარკინოზთად: რაჟამს გამოჯდის ბრძანებად მოკლვად ქრისტეანისა, აღიჭურნიან ვითარცა დღესა ბრძოლისასა და აღმაჭური ყვიან და აღლესნიან მახზლნი მათნი მოსწრაფედ დათხევად სისხლისა და ერთი-ერთსა უსწრობნ, ვითრცა შესაძინელსა დიდისა საფასისასა. და რაჟამს გამოჰყვანდეს პერობილნი იგი, რომელ გამოიყვანნეს ყუელის ციხით, რომელნი-იგი გამოირჩინა ღმერთმან მარტვლად თვსა, რიცხვთ ვითარ ასოც და ათცამეტ, ვითარცა-იგი სამოელის მიერ სათნო იყო ღმერთმან დავით ცხებულად თვსა, ხოლო ჩინებულნი იგი აზნაურნი დაეყენნეს მსგავსად მისა, რომელნი ადარნასე მეფემან გამოიკსნა.

ხოლო წმიდათა წოდებასა მას ცნეს რად-იგი ყოფად იყო და თქუეს ყოველთა ერთობით: “გუალეთ, ძმანო, ქრისტწს თანა და ნუვინ ჩუენგანი შეუორგულდებით”. და სიხარულით გამოვიდეს და ურთიერთას ასწავებდეს მხიარულითა პირითა ფიცხელსა მას სატანჯუელსა

სიკუდილისა[სა], ვითარცა საშუებელსა კეთილსა. უმრავლესნი მათგანნი მოიყვანნეს წინაშე ლაშქართა მათ საშინელთა, აღმზადებულთა თითოსახეთა მათგან მახვლთა.

მაშინ, ვითარცა მკვეცი ბოროტნი განძნებულნი, შეერინეს აღრეულად და ერთიერთსა უსწრობდეს, რომელნიმე მახვლითა სცემდეს, რომელნიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩხუებდეს და დასჭრიდეს, ჯორცთა მათთა დანებითა განაპებდეს, და ღვძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა პირითა გაეტაცა. და ესრეთ დასთხინეს სისხლნი მათნი და ესრეთ სრულ იქმნა წამებაჲ მათი ქრისტეს მიერ. ხოლო ნეტარი გობრონ წარადგინეს წინაშე ამირისა მის. და ჰრქუა ნეტარსა გობრონს: “მეწყალის მე სიკეთეჲ სიჭაბუკისა შენისაჲ და მშურს სიკუდილისათჳს მკედრობაჲ შენი, რომელი სახელოვან ხარ წინაშე ჩუენსა. და აწ ვითარცა შვილსა საყუარელსა გასწავებ შენ, დაუტევე უგუნურებისა შენისა შჯული, რომლითა ვერა ირგეს მოყუასთა შენთა და აღიარე ჭეშმარიტი შჯული ჳელმწიფებისა ჩუენისაჲ, რომელსა დამორჩილებულ არს ყოველი და აღგიტჳამ თჳუენ. ვიცით ჩვენ, ამის სუბუქისა შემდგომად რომლისაგა კაეტისა ინებო მთავრობაჲ, მიგცე შენ, პალატი, კარვები, მონები, ტადარი, აქლემები, საჭურველთა შუენიერთა სიმრავლე, და გყო შენ ვითარცა ერთი რჩეულთა ჩემთაგანი, საყვარელ იყო ჩემ წინაშე და პატივცემულ ყოველთა ამათგან ლაშქართა”.

მიუგო წმიდამან გობრონ და ჰრქუა ამირასა მას: „გევედრები, ჳელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატევებად ქრისტეანობისა, რომლითა აღმზარდეს მე მშობელთა ჩემთა და აღბეჭდულ ვარ სულითა წმიდითა. და რაჲ მიზეზი არს ესე მიზეზი სიკუდილისა ჩემისაჲ? მრავალ არიან შენ ქუეშე ქრისტეანენი და მეცა არა დავაკლო მონებაჲ ჳელმწიფებასა შენსა ყოვლითა სახითა, რომლითა გენებოს შენ. და ესე ჭეშმარიტად უწყოდე შენ, რამეთუ არცა კეთილთა შენთა აღთჳუმათა, არცა ძვრ- ძვრთა ბოროტთა შენთა ჩემ ზედა მოწევნითა შემიძლო განყენებად უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესსა”. ხოლო ამირამან ჰრქუა მონათა თჳსთა: “წარიყვანეთ ეგე და უჩუენენით მოკლულნი იგი მოყუასნი მისნი, თითო-

სახედ დაჭრილნი. და კუალად უჩუენეთ პალატი და კარვები და არწმუნეთ მიცემად მაგას, ვინ უწყის, უკუე შიშმან სიკუდილისამან, ანუ შესაძინელმან კეთილისამან

მოდრიკოს გული მისი”. და ვითარ მოავლეს ყოველი იგი და მოვიდეს წინაშე ამირისა მის, ჰრქუა ამირამან: “რაჲ გამოირჩიე თავისა შენისა”? ჰრქუა მას წმიდამან გობრონ: “მე პირველადვე გითხარ შენ არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგანა”. ხოლო ამირამან ჰრქუა მონათა თვსთა: “არა იცის მაგან ჭირი სიკუდილისაჲ, წარიყვანეთ ეგე და წარწყმიდენით მაგის წინაშე დარჩომილნი ქრისტეანენი და მცირედ წყალთ ეგე და კუალად მოიყვანეთ”. და კუალად წარიყვანეს ნეტარი გობრონ, დაადგინეს შორის დაშთომილთა მათ მოყუასთა და ურიდად შეერინეს მათ მახვლითა. და ცემასა მას მათსა უწყალოდ სისხლი მათი ეპკურებოდა მას და რომლისამე გუამი დავარდის მის წინაშე და რომლისამე გუამი შეგორდის ქუეშე ფერჯთა მისთა. და ესრეთ აღესრულნეს წამებანი მათ ყოველთა[ნი], საშინელებითა ვერ შეაძრწუნეს გული მისი. მაშინ წარუპყრეს ქედი მისი და სცეს მახვლითა ორ-გზის ოდენ და წყლეს მცირედ; და გამოიძრო კელი ნეტარმან მან კრულებისა მისგან და სისხლი იგი თვსი გამოიწერა ჯუარის სახედ შუბლსა თვსსა და თქუა: “გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელმან ღირს მყავ მე, უღირსი ესე და ცოდვილი და უკუანადსკნელი ყოველთაჲ, ნაწილსა ამას მკვდრობისასა და მოწამებისასა. უფალო, სრულ ყავ მოწყალებაჲ შენი და სიტკბოებაჲ ჩემდამო და ნურა დამაბრკოლებნ მიზეზი რა[დ]ვე მანქანებაჲ და მძლავრებაჲ უსჯულოდსა ამის”. და კუალად მოჰყვანდა იგი წინაშე ამირისა მის და ბრწყინვიდა პირი მისი და შუბლი მისი ელვარედ. და რომელნიმე ქრისტეანეთაგანნი მახლობელ იყვნეს, იხილეს იგი თუალითა სარწმუნოებისაჲთა, ვითარცა გვრგვნოსანი ზეგარდამოდ, და ჰრწმენა ჭეშმარიტად მარტვლობაჲ მისი და ესრეთ უშუენოდა იგი სისხლისა მის გამოწერითა შუბლსა მისსა, ვითარცა იგი, რაჟამს უფალი ჩუენი ცხოვრებისასა მას ვნებასა აღასრულებდა. და გამოიყვანეს იგი ეკლისა გვრგვნითა, იხილეს იგი ყოველთა. და ესევითარისა

მსგავსებისათვის უფალი იტყვს: "კმა არს მოწაფისა მის, თუ იყოს ვითარცა მოძღუარი თვისი და უფალი თვისი". მაშინ წამა ადარნასე მეფემან ქემმარიტი მარტვლობაჲ მისი, ვითარცა გიორგისა და თეოდორწისი. და რაჟამს წარადგინეს იგი წინაშე ამირისა მის, მრავლითა სიტყვთა ლიქნისაჲთა ვერ აჯერებდა მას დატევებად ქრისტწსა და ეტყოდა: "ესე უწყოდე, უკუეთუ არა მოიქცე მორჩილებად ჩემდა, ვერა რომლითა ღონითა განერე სიკუდილსა. და აწ ისმინე ჩემი, ვითარცა კეთილისა განმზრახისაჲ, და ნუ წარსწყმედ თავსა შენსა. და მე უბრძანო მკურნალსა განკურნებაჲ შენი მცირედისა მაგისგან წყლულისა და პირველნი იგი აღნათქუემნი მტკიცე ვყვნე შენ ზედა". ჰრქუა მას წმიდამან გობრონი: „იქმოდე, რადცა გნებავს, მე ქრისტეანე ვარ და არასადა უარ ვყო სახელი მისი“. მაშინ ბრძანა ამირამან მოკლვად წმიდისა გობრონისი. წარიყვანეს და წარკუეთეს თავი მისი და დააგდეს მოკლულთა მათ თანა. ესრეთ სრულ იქმნა წამებაჲ მისი თუესა ნოენბერსა ჩვდმეტსა. და მიემთხვა გვრგვნსა დაუქნობელსა წმიდათა თანა მოციქულთა და ყოველთა მოწამეთა. კულად შეიმოსა ეკლესიამან სამკაული სიხარულისაჲ და ბრწყინვალეებისაჲ სისხლითა მისითა დაიდგა გვრგვნი შუენიერებისაჲ და დიდებისაჲ სიმკნითა მისითა. და ქრისტეანეთაგანმან არავინ იკადრა მიახლებად მისა. ხოლო ამირამან უბრძანა მოთხრად სამი მთხრებლი და შეკრიბნეს ჯორცნი მათ ყოველთა მოკლულთანი და შთაყარნეს მას შინა, და უბრძანა, რადთა არავინ ქრისტეანეთაგანი მიეახლოს მათ. ხოლო ღმერთმან, რომელმან არა უგულუბელს-ყო მონანი თვისნი და აღიდნა მაქებელნი თვისნი, და აჩუნა სასწაული ზეგარდამოაჲ, ნათელნი ბრწყინულენი ღამე ყოველ, ვითარცა ლამპარნი აღნთებულნი, და დადგნიან ზედა მთხრებლსა მას. მრავალთა იხილეს ესე სასწაული, ყოველთა მორწმუნეთა და ურწმუნოთა, მოვიდეს და უთხრეს ამირასა. ხოლო მან მიზეზი უთხრა, ვითარმედ ესე სარკინოზთაცა ზედა იქმნების, რომელნი ბერძენთაგან მოიკლვიან.

V

აწ, საყუარელნო, მოციქულისა სიტყუასა ვერჩდეთ, და ვსენებასა წმიდათასა ვეზიარნეთ და საკსენებელსა მათსა აღვასრულებდეთ. ვითარცა წმიდათა მოწამეთა სულნი მათნი წარუდგინნეს ღმერთსა გუემათა მათთა ტანჯვითა, ეგრე[თვე] შენცა შემძლებელ იქმენ ეგევითარისა მსხუერპლისა წარდგინებად წინაშე ღმრთისა. რამეთუ რაოდენცა დღეს არავინ არს, რომელმან წამებისათჳს დაჭრნა ჳორცნი შენნი მახვლითა, არამედ შენ შემძლებელ ხარ დაწუად მათა იწროებითა და მწუხარებითა და ნებსით სიგლახაკითა უფლისათჳს. რომელი, ვითარცა იგი, შემძლებელ იყოს სოფლისა საშუებელთა და განსუენებათა [დათმოზად] და ნებსით აღირჩიოს მწუხარებად და იწროებად ნაცვალად მისა, იგი არს, რომელი შესწირავს მსხუერპლსა ქებისასა წინაშე ღმრთისა, ვითარცა მოწამემან ქრისტჳსმან გობრონ.აწ უკუე მოაკუდინენით ჳორცნი თქუენნი და ჳუარს აცუთ იგი შრომითა და მარხვითა [და] გვრგვნითა მოწამეთადთა, რომლისათჳს მძლავრნი მარტვლთა მოსწყუედდეს და [იგინი] იწამნეს, ხოლო შენ ნებსით თავი თჳსი მოსწყვდე იწროებით.და ესე არს მსხუერპლი უბიწოდ, რომელსა არა უკმს მღდელი შემწირველი, რამეთუ რომელი ამას ქუეყანასა ზედა [დამდაბლდების], იგი ცათა შინა ამადლდების, ქრისტჳს იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისად არს დიდებად მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე. ამჳნ.